საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 1152/02 "23" 06 2017

ჯ-ნ გ. ჭუმბურ
23.06.2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23–ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი: „ 10 “ ფურცელზე.

პატივისცემით,

ზურაბ პატარაძე

09-01-08/43
23 06 2017
11 ფურცელი

6010 ქ. ბათუმი ქ. გამსახურდიას 10
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 10. Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 103

2017 წლის 22 ივნისი ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23–ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ოთარ დიასამიძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ზურაბ პატარაძე

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (ა.ა.რ.ს.მ. №11, 21.08.04) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს არაუმეტეს მთავრობის უფლებამოსილების ვადით;“.

2. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების, აგრეთვე შესაბამისი მინისტრის წარდგინებით სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელებს – არაუმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით და მათ მოადგილეებს არაუმეტეს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელის მოადგილეებს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით – არაუმეტეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით;”.

3. მე-14[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14[1]

1. ის პირები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული არიან არაუმეტეს თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით, თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ახალი თანამდებობის პირის (ორგანოს) დანიშვნამდე (დამტკიცებამდე).

2. მთავრობის თავმჯდომარე/მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, ან ხელმძღვანელის/კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის ინიციატივით გაათავისუფლოს თანამდებობიდან ამ კანონის თანახმად უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით დანიშნული პირი.“.

4. მე-17 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს

მთავრობის თავმჯდომარე – არაუმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.";

ბ) მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მთავრობის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს;".

5. 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მინისტრს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეს შესაბამისი მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არაუმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით.".

მუხლი 2 ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე *ზურაბ პატარაძე*

ჩაქვი
2017 წლის ივნისი
N---

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონი მიჯნავს საჯარო მოსამსახურეთა სამ კატეგორიას მოხელეებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს. ამასთან არნიშნული კანონი ითვალისწინებს საჯარო მოსამსახურის მცნებას, რომელიც განმარტებულია - პირი რომელსაც სახელმწიფო სამსახურში არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა უკავია და რომლის სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის ან/და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად, უნდა მოხდეს პროფესიული მოხელეების იერარქიულ რანგებში განაწილება, რომლის შემთხვევაშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს. მოცემულ თანამდებობას იკავებს პროფესიული მოხელე, რომელიც შეირჩევა კანონით გათვალისწინებული კონკურსის შედეგად. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად გათვალისწინებულია რომ მოცემულ თანამდებობაზე პირი ინიშნება მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით. წარმოდგენილი ცვლილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აღარ დაინიშნება მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მრჩევლებისა და თანაშემწეების დასაქმებას ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, ხოლო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად გათვალისწინებულია მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლებისა და თანაშემწეების მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით დანიშვნა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დამსაქმებლის უფლებამოსილების ვადას, ასევე შესაძლებელია ხელშეკრულება გაფორმდეს განსაზღვრული ვადით უფლებამოსილების

ვადის ფარგლებში, ხოლო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია თანამდებობის პირების მთავრობის/მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით ასევე, შესაბამისი თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით დანიშვნა. მიზანშეწონილია საკანონმდებლო სივრცეში მსგავსი ტერმინოლოგია იქნეს გამოყენებული და ამასთანავე ითვალისწინებდეს კანონი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში განსაზღვრული ვადით დანიშვნასაც.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი რედაქციით ყალიბდება შემდეგი პუნქტების ჩამოყალიბებას:

მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი

„თ) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს არაუმეტეს მთავრობის უფლებამოსილების ვადით;“. მოცემულ შემთხვევაში ნაცვლად მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადისა მითითებულია - არაუმეტეს მთავრობის უფლებამოსილების ვადით.

მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

„ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების, აგრეთვე შესაბამისი მინისტრის წარდგინებით სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელებს – არაუმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით და მათ მოადგილეებს არაუმეტეს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელის მოადგილეებს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით – არაუმეტეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით;“. მოცემულ შემთხვევაში ნაცვლად უფლებამოსილების ვადისა მითითებულია - არაუმეტეს უფლებამოსილების ვადით.

მე- 14^1 მუხლი

„მუხლი 14^1

1. ის პირები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული არიან არაუმეტეს თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით, თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ახალი თანამდებობის პირის (ორგანოს) დანიშვნამდე (დამტკიცებამდე).

2. მთავრობის თავმჯდომარე/მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, ან ხელმძღვანელის/კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის ინიციატივით გაათავისუფლოს თანამდებობიდან ამ კანონის თანახმად უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით დანიშნული პირი.“ მოცემულ შემთხვევაში ხდება სიტყვების „არაუმეტეს“ და „განსაზრვრული ვადის“ დამატება ასევე მე-2 პუნქტით განისაზღვრება მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის მიერ უფლებამოსილების ვადითა და განსაზრვრული ვადით დანიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი.

მე-17 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი

„3. მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არაუმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.“; მოცემულ შემთხვევაში ემატება სიტყვა არაუმეტეს.

ბ) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

„ბ) მთავრობის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს. მოცემულ შემთხვევაში ხდება უფლებამოსილების ვადით დანიშვნის ამოღება, მათ შორის მრჩევლებისა და თანაშემწეების.

28-ე მუხლის პირველი პუნქტი

„1. მინისტრს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეს შესაბამისი მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არაუმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით.“. მოცემულ შემთხვევაში ემატება სიტყვა არაუმეტეს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ასეთი არ არსებობს.

ზ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ზ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ზ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლების მოქმედი რედაქცია რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 8.

მთავრობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში:

ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებასა და სტრუქტურას;

გ) ამტკიცებს მთავრობის აპარატის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო განრიგს;

დ) ქმნის მთავრობის სათათბირო ორგანოებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;

ე) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების სამართლებრივი აქტები;

ვ) შეიმუშავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს სამ თვეში ერთხელ წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს;

თ) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს მთავრობის უფლებამოსილების ვადით; *(22.08.2012 N 178 - უ.ს.რ.ს.)*

ი) საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარადგენს კანონპროექტებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში;

კ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

ლ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას;

მ) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, აგრეთვე კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების მართვას, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მოვლა-პატრონობას;

ნ) მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტაში, უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

ო) უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობისა და სხვა კომუნიკაციების განვითარების ხელშეწყობას;

პ) ხელს უწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობასა და ურბანულ განვითარებას;

ჟ) ქმნის სათანადო პირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმისა და სპორტის განვითარებისათვის;

რ) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვას, სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ს) უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას;

ტ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქივო სამსახურის მართვას;

უ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 14[1]

ის პირები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული არიან თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით, თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ახალი თანამდებობის პირის (ორგანოს) დანიშვნამდე (დამტკიცებამდე).

მუხლი 17.

1. მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვაგვარი საქმიანობის უზრუნველყოფის, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი.

2. მთავრობის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე.

3. მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით. *(22.08.2012 N 178 - უ.ს.რ.ს.)*

4. მთავრობის აპარატის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ბ) მთავრობის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს. აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლებსა და თანაშემწეებს მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობაზე ნიშნავს – მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით; *(22.08.2012 N 178 - უ.ს.რ.ს.)*

გ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს აპარატის სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აპარატის მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ე) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს მთავრობის სხდომებში, ხელს აწერს მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტებს, აგრე-

თვე აპარატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას; *(21. 03. 2007 წ. N242; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)*

ვ) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გამოდის მთავრობის აპარატის სახელით;

ზ) ასრულებს მთავრობის აპარატის დებულებითა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 28.

1. მინისტრს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეს შესაბამისი მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

2. მინისტრის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამინისტროს ცალკეული დარგობრივი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) საქმიანობას, ახორციელებს და კონტროლს უწევს მინისტრის ბრძანებების, მითითებებისა და სხვა დავალებების შესრულებას.

3. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ან მინისტრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, აგრეთვე მინისტრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ასრულებს მინისტრის მოვალეობას.

4. მინისტრის გადადგომისას ან სხვა საფუძველზე მისი უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

5. ამოღებულია. *(14. 09. 2004 წ. N85, საკანონმდებლო მაცნე, 17. 09. 2004 წ. N15)*